სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

20/11/2025

MES 4 25 0001652585

ბაკალავრიატის სტუდენტთათვის სახელმწიფო სტიპენდიის
დანიშვნის წესის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 28 იანვრის N73255 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილის 2025 წლის 13 ნოემბრის N1606606 ბრძანების, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს უმაღლესი განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის 2025 წლის 14 ნოემბრის N1614944 წერილის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 18 ნოემბრის N01-05-04/182 დადგენილების შესაბამისად, სტუ-ის ბაკალავრიატის სტუდენტთათვის სახელმწიფო სტიპენდიის დანიშვნის მიზნით

ვბრძანებ :

1. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილის 2025 წლის 13 ნოემბრის N 1606606 ბრძანებით განსაზღვრული წესის შესაბამისად, 2025 წლის პირველი ოქტომბრიდან 2026 წლის პირველ იანვრამდე 3 (სამი) კალენდარული თვის განმავლობაში გაიცეს სახელმწიფო სტიპენდია თვეში 300 (სამასი) ლარის ოდენობით,

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკრედიტებულ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხულ და ასევე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ოკუპირებული ტერიტორიებიდან ჩარიცხულ აქტიური სტატუსის მქონე ბაკალავრიატის სწავლების II, III და IV წლის საუკეთესო რეიტინგის მქონე სტუდენტებზე, რომლებსაც სწავლების წინა სემესტრში ათვისებული აქვთ არანაკლებ 25 კრედიტისა;

2. სტიპენდიანტთა რაოდენობა ფაკულტეტების მიხედვით განისაზღვროს სტუ-ის ბაკალავრიატის აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე სტუდენტთა ჯამური რაოდენობიდან ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტთა კონტინგენტის პროცენტული წილის შესაბამისად:

№	ფაკულტეტი	სტიპენდიანტთა რაოდენობა
1	სამშენებლო	**93**
2	ენერგეტიკის	**88**
3	სამთო-გეოლოგიური და მთის მდგრადი განვითარების	**84**
4	აგრარული მეცნიერებებისა და ქიმიური ტექნოლოგიების	**140**
5	სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის	**65**
6	არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის	**79**
7	სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების	**117**
8	ინფორმატიკის და მართვის სისტემების	**210**
9	დიზაინის საერთაშორისო სკოლა	**18**
10	ბიზნესტექნოლოგიების	**116**
11	სოციალურ მეცნიერებათა	**49**
	სულ	**1059**

3. სახელმწიფო სტიპენდიანტების შერჩევა მოხდეს ფაკულტეტებზე 2024–2025 სასწავლო წლის მეორე სემესტრის სესიების შედეგების მიხედვით საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილის 2024 წლის 13 ნოემბრის N1606606 ბრძანებით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად (იხ. დანართი);

4. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილის 2024 წლის 13 ნოემბრის N1606606 ბრძანებით განსაზღვრული კრიტერიუმები გამოიკრას შესაბამის ფაკულტეტებზე თვალსაჩინო ადგილას და განთავსდეს ფაკულტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე;

5. ფაკულტეტების წარდგინების საფუძველზე სასწავლო პროცესების მართვის სამსახურმა უზრუნველყოს „სახელმწიფო სტიპენდიების დანიშვნის თაობაზე“ ბრძანების პროექტის მომზადება;

6. ბრძანების კონტროლი დაევალოს სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის უფროსს ზ.ბუაჩიძეს;

7. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის უზრუნველყონ ფაკულტეტების სასწავლო პროცესების მართვის განყოფილებებმა;

8. ბრძანება განთავსდეს სტუ-ის ოფიციალურ ვებგვერდზე;

9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

რექტორი
გურგენიძე დავით